

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ვირუსი საქართველოში

თამარ ჯაჯანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე მოლეკულური
ბიომეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

სიცოცხლის შემსაწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ეკა ლეფსვერიძე, პროფესორი

ნაზიბროლა ჭიტაძე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრის სეროლოგიური ლაბორატორიის (წითელა, წითურა,
როტავირუსები) ხელმძღვანელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

ვაცხადებ, რომ ნაშრომი „ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ვირუსი საქართველოში“ წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის ნაშრომში მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ჯაჯანიძე

თბილისი, 27 ივნისი, 2019 წელი.

აბსტრაქტი

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება წარმოადგენს საწყის ეტაპზე უსიმპტომოდ მიმდინარე ლეტალურ დაავადებას, რომელიც გამოწვეულია რნმ-ს შემცველი ვირუსით. ის განსაკუთრებით საშიშ პათოგენტა რიცხვს მიეკუთვნება.

ჩვენს ქვეყანაში წარსულში გამოვლენილია ვირუსის რამდენიმე კერა, დაფიქსირებულია ეპიდაფეთქების შემთხვევებიც, თუმცა საქართველოში ეს ვირუსი ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი მანც არ არის. რადგან დაავადებას სპეციფიკური სიმპტომები არ ახასიათებს, ლეტალური შედეგის თავიდან აცილების საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ვირუსის სწორი და სწრაფი იდენტიფიცირება. სწორედ ამიტომ, აღნიშნული კვლევის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საქართველოს არეალისათვის დამახასიათებელი ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების გამოვლენის სიხშირის დადგენა მისი შესწავლის მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით და ამავე დროს ამ ვირუსის დეტექციისათვის საჭირო ყველაზე მგრძობიარე მეთოდის გამოვლენა, რაც მომავალში დიდ დახმარებას გაგვიწევს დაავადების ლეტალური შედეგის თავიდან არიდების საქმეში.

ხანგრძლივი კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მიღებული ყირიმ-კონგოს ვირუსით დაავადებული ადამიანების სისხლის ნიმუშები, მათი მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით ყველაზე საშიში ორი რეგიონი: ქართლისა და სამცხის. ამავე დროს, კვლევის სხვადასხვა მეთოდის ერთმანეთთან შედარების გზით დადგინდა, რომ ELISA მეთოდი ჩვენს ქვეყანაში ვირუსის გამოსავლენად დღესდღეობით ყველაზე ხელსაყრელი სეროლოგიური მეთოდია, თუმცა გონივრული იქნება მომავალში მისი ჩანაცვლება უფრო მეტად მგრძობიარე მეთოდად აღიარებული მაგპიქსის აპარატით, რაც შეცდომის დაშვების ალბათობას მინიმუმამდე შეამცირებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ყირიმ-კონგო, ჰემორაგიული ცხელება, რნმ, ლეტალური დაავადება.